სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

07/11/2024

MES 8 24 0001435662

ბრძანება

„სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და განათლების აღიარების შესახებ განცხადებების ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 11 მარტის №292228 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახურის უფროსის 202 4 წლის 7 ნოემბრის №1432939 ბარათისა და ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურის უფროსის 2024 წლის 18 ოქტომბრის №1349618 და 2024 წლის 30 ოქტომბრის №1394129 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და განათლების აღიარების შესახებ განცხადებების ფორმების დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2020 წლის 11 მარტის №292228 ბრძანებაში და ბრძანების:
ა) პირველი პუნქტით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების შესახებ" განცხადების ფორმა (დანართი №1) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.
ბ) მე-2 პუნქტით დამტკიცებული „უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ" განცხადების ფორმა (დანართი №2) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.
გ) 4^1 პუნქტით დამტკიცებული „საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით საქართველოში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების შესახებ" განცხადების ფორმა (დანართი №5) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბ ამისად.
2. ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 14 ნოემბრიდან.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამსახურს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა